ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომის

ოქმი №5

ქ. ლანჩხუთი

25.07.2024 წელი
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, კომისიის წევრები: ია მოქია, სპარტაკ კვაჭაძე, ვერიკო კვირკველია, ვლადიმერ ნანაძე , გია გოგუაძე, ჯუმბერ ბლაგიძე.

მოწვეული პირები: მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი **როლანდ ლაშხია.**

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.
/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

3. სხვადასხვა საკითხები.

მომხრე-7 დეპუტატი, წინააღმდეგი-არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ.** მან აღნიშნა, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური სერვისების სამსახურის ანალიზის შედეგად „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების" პროგრამის დაფინანსების 6300 ლარით, „ბიკარბონატულ ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის " 3000 ლარით და იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების " პროგრამის დაფინანსების 2000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის" დაფინანსება 11300 ლარით.

ა(ა)იპ „სკოლამდელი საგანმანათლებლო სააღმზრდელო ცენტრის "წერილის განხილვიდან

გამომდინარე შრომის ანაზღაურების მუხლი 10000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს სოც: უზრუნველყოფის მუხლი 10000 ლარით. ზემოაღნიშნული ღონისძიებების მიზნით დაიწყოს ბიუჯეტში ადმინისტრაციული წარმოება.

სხდომის თავმჯდომარემ, ალექსანდრე მახათაძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ დადგენილების პროექტს **მომხრე-7, წინააღმდეგი 0**

დღის წესრიგის მეორე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში სხდომას წარუდგინა მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ** მან აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვეში მობილიზებულია 4362709 ლარი, მათ შორის შემოსავლები (კაპიტალურის ჩათვლით)1825235 ლარი, აქედან დამატებითი ღირებულების გადასახადი 957152 ლარი, საწარმოთა ქონების გადასახადი 614011 ლარი, სხვა შემოსავლების სახით მიღებულია 245938 ლარი, მათ შორის ჯარიმები, სანქციები და საურავების სახით მიღებულია 235743 ლარი, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გრანტების სახით მიღებულია 2537474 ლარი; მათ შორის საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მიღებულია 2309160 ლარი, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის სალიკვიდაციოდ 75000 ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების დასაფინანსებლად 153314 ლარი.

მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა აღნიშნა, რომ საერთო ჯამში, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შემოსავლების გეგმის შესრულების შესაბამისად მუნიციპალიტეტის მიერ აღებული ვალდებულები სრულად არის დაფინანსებული.

კომისიამ მოისმინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში.

3. სხვადასხვა საკითხები:

1 კომისიის წევრმა, გია გოგუაძემ დასვა საკითხი სახურავებთან დაკავშირებით, რომ მუნიციპალიტეტის მერიამ მოგვაწოდოს სახელობითი სია თუ ვის გაეწია დახმარება, ასევე მუნიციპალურ ავტობუსებზე გაკეთდეს წარწერა ვის მიერ არის შემენილი ისინი ,რადგან კონტროლიორების მხრიდან კეთდება განცხადებები თითქოს ბიძინა ივანიშვილმა შეიძინა ზემოთ აღნიშნული სატრანსპორტო საშუალებები.

2 დეპუტატი ჯუმბერ ბლაგიძე დაინტერესდა ვრცელდებოდა თუ არა მოსწავლის ბარათი მუნიციპალურ ავტობუსებში როდესაც სწავლა იყო მოხსნილი.

სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით კომისიის წევრებს სხვა არანაირი წინადადება არ ქონიათ.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე: **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის დასკვნა №5

ქ. ლანჩხუთი 25.07.2024 წელი

2024 წლის 25ივლისს ჩატარებულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხი:

1.,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

/მომხსენებელი: ალექსანდრე მახათაძე/

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

დღის წესრიგის პირველი საკითხი

1 ,,ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 22 დეკემბრის 22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე დაიწყოს მუშაობა აღნიშნული ცვლილებებით.

2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიშის მოსმენა.

კომისიამ მოისმინა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის ივნისის თვის შესრულების ანგარიში.

საფინანსო-საბიუჯეტო

კომისიის თავმჯდომარე : **ალექსანდრე მახათაძე**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო–საბიუჯეტო კომისიის
წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

25.07.2024 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ალექსანდრე მახათაძე	13 50	
2	ია მოქია	13:55	
3	გიორგი ჩახვაძე	არ ესწრებოდა	
4	სპარტაკ კვაჭაძე	13-54	
5	კახა თედორაძე	არ ესწრებოდა	
6	ვლადიმერ ნანაძე	13 50	
7	გიორგი გოგუაძე	13 50	
8	ვერიკო კვირკველია	13.58	
9	ჯუმბერ ბლაგიძე	13.58	